

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება - სლავური ფილოლოგია
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელები
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - **ოლღა პეტრიაშვილი**
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - **დიანა ალანია**
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - **მაკა კაჭარავა**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში ან/და ლიტერატურაში. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე სემესტრიდან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

სახეზეა ცვლილებები მსოფლიოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. სლავური ფილოლოგიის სწავლების აუცილებლობა განისაზღვრება სლავური ელემენტის მნიშვნელობით ევროპულ სივრცეში. სლავური კულტურა მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე რუსული და სხვა სლავური ენის და ლიტერატურის (უკრაინული) სწავლებას. გარდა ამისა, რუსულ ენას დიდი ხანია საქართველოში აქვს უცხო ენის სტატუსი და მნიშვნელოვანია მისი სწავლების უახლესი მეთოდების ცოდნა ბაკალავრის დონეზე, რათა კურსდამთავრებულებმა შეძლონ კითხვა, წერა, საუბარი მაღალ პროფესიულ დონეზე. გარდა ამისა, შრომის ბაზარზე, სხვადასხვა პროფესიით დასაქმებისას არსებობს რუსული ენის ცოდნის მოთხოვნილება, ამიტომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ როგორც ამ სამუშაოთა მაძიებლების განათლება, მათთვის რუსული ენის სწავლება, ასევე სათარჯიმნო მომსახურება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი

საუნივერსიტეტო განათლების მქონე ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების მომზადებას სლავური ფილოლოგიის ფარგლებში, რომლებსაც ექნებათ მაღალხარისხიანი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. პროგრამის მიზანი მიღწევადია და მისი შესაბამისობა მისიასთან უზრუნველყოფილია სხვადასხვა ფაქტორებით: სწავლისა და სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვით, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობით დასაქმების შიდა და გარე ბაზარზე; მაღალხარისხიანი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებით გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური საზოგადოების, სტუდენტების, დამსაქმებლების) აქტივობით, ძირითადი პროფესიის დაუფლებასთან ერთად ძირითადი სოციალური ელემენტების შემსწავლელი დისციპლინების შესწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობით. საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სლავური ფილოლოგიის დარგში ფართო ცოდნის მიღებას, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, კურსდამთავრებულმა უნდა გააცნობიეროს რუსული ენისა და ლიტერატურის კომპლექსური საკითხები და მოამზადოს რუსული და უკრაინული ენების და ლიტერატურის მცოდნე კადრები პროფესიული საქმიანობისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს, რომ ფილოლოგიის ბაკალავრს მისცეს ცოდნა თანამედროვე სლავური ენების (რუსული, უკრაინული) სალიტერატურო ფორმაზე, წარმოდგენა შეუქმნას მათ დიალექტურ მრავალფეროვნებაზე, თანამედროვე რუსული ენისა და რუსული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობასა და განვითარების ტენდენციებზე, ლინგვისტურ და ლიტმცოდნეობით ანალიზის მეთოდებზე, მწერლის შემოქმედებასა და ნაწარმოებების მხატვრულ თავისებურებებზე. გარდა ამისა, ფილოლოგიის ბაკალავრი (სპეციალობით „სლავური ფილოლოგია“) იქნება ზოგადი ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტი-ფილოლოგი, რომელსაც გააზრებული ექნება მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, რომელიც ადკურვილი იქნება ძირითადი ფილოლოგიური დისციპლინების თეორიული საფუძვლების ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ზოგადად ფილოლოგიის და დარგის -სლავური ენების და ლიტერატურის (რუსული, უკრაინული) სალიტერატურო ფორმის, ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების ფართო და კომპლექსური ცოდნა; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს სლავური ფილოლოგიის დარგის მოცულობა, იცნობს დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია დარგობრივ ენას (რუსულ ენას) B 2 და უკრაინულ ენას მინიმუმ A 2 დონეზე, გააცნობიერა ისეთი საკითხები, როგორცაა: ენათმეცნიერების და ლიტმცოდნეობის ძირითადი ცნებები და ტერმინები; მოახდინა სლავური ლიტერატურის (რუსული, უკრაინული) ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების კრიტიკული გააზრება, იცის სლავური ლიტერატურის (რუსული, უკრაინული) ლიტერატურული მიმდინარეობანი და ცნობილ ავტორთა შემოქმედება; ფილოლოგიის ბაკალავრი კარგად არის გაცნობიერებული სლავური ენებისა და ლიტერატურის (რუსული, უკრაინული) განვითარების

ეტაპებში. მან გააცნობიერა მათი მნიშვნელობა პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. ბაკალავრი დაუფლებულია სლავური ენების (რუსული, უკრაინული) წერით და ზეპირ ფორმებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია სლავური ფილოლოგიისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კურსდამთავრებული ფლობს რუსული ენის B2 დონეს, ხოლო უკრაინულ ენას ფლობს A2 დონეზე. სტუდენტს ესმის აბსტრაქტულ და კონკრეტულ თემებზე შედგენილი რთული ტექსტების საერთო შინაარსი, მათ შორის ვიწროსპეციალური ტექსტები. საუბრობს საკმაოდ სხარტად და სპონტანურად, რათა ქონდეს მუდმივი კონტაქტი ენის მატარებლებთან ყოველგვარი სირთულის გარეშე, შეუძლია ზუსტი, ყოვლისმომცველი მოხსენებების გაკეთება სხვადასხვა თემებზე და საკუთარი ხედვის და აზრის გამოხატვა არსებულ პრობლემაზე, დადებითი და უარყოფითი მხარეების და პოზიციების გარჩევა. კურსდამთავრებული დაუფლებულია საკომუნიკაციო კომპეტენციას რუსულ, უკრაინულ ენებში. მას შეუძლია სწავლის პერიოდში შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება; სლავური ენების (რუსული, უკრაინული) შეძენილი აქვს პრაქტიკული კომპეტენციები ვერბალური კომუნიკაციის ოთხი ფორმით: კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და მოსმენა-აუდირება.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია სლავური ფილოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, მათი განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, სლავური ფილოლოგიის დარგში ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება, ლინგვისტიკაში არსებულ პრობლემათა იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების, მეთოდებისა და მიდგომის თაობაზე ინფორმაციის შეგროვება და დასაბუთებული ინტერპრეტირება; პროფესიულ სფეროში სიახლეების კრიტიკულად შეფასება და ანალიზი და მათი საშუალებით პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესება; შეუძლია სწავლის მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება სლავური ფილოლოგიის სფეროში დაგეგმვის, შემოწმება-შეფასების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის უნარ-ჩვევების დემონსტრირებაში; ფილოლოგიური ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია. ასევე, შეუძლია იმსჯელოს, გამოთქვას კრიტიკული აზრი ან განიხილოს ესა თუ ის საკითხი სხვადასხვა ენობრივი ფორმების და მეთოდების გამოყენებით. ენის შემსწავლელი თავისუფლად ორიენტირებს ორიგინალურ ტექსტში, ახდენს მის ინტერპრეტაციას, აყალიბებს დასრულებულ აზრს და გამოაქვს ლოგიკური დასკვნა; აქვს უნარი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე ეფექტურად დადგემოს დრო. აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი-პრობლემის შეცნობისა და მათი გადაჭრისათვის საჭირო სტრატეგიების განვითარება; ალტერნატიული თეორიების გამოყენება და ახსნა-განმარტება მოცემული ინფორმაციის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან, პრეზენტაციის მომზადება და მისი ზეპირი წარმოდგენა; აქვს სლავური ენების - რუსული ენის ფლობის B2 დონე, ხოლო უკრაინულ ენას ფლობს A 2 დონეზე. შეუძლია აზრის ნათლად, ლოგიკურად და დახვეწილ ქართულ და ერთ-ერთ სლავურ ენაზე (რუსული და უკრაინული) ენებზე გადმოცემა წერილობითი ფორმით; შეუძლია პროფესიულ საზოგადოებაში როგორც ქართულ, ასევე ერთ-ერთ სლავურ ენებზე (რუსული, უკრაინული) დარგის ირგვლივ პოლემიკასა და მსჯელობაში ჩართვა. გამომუშავებული აქვს კითხვის, ზეპირმეტყველების, წერისა და მოსმენის უნარ-ჩვევების ისეთი დონე, რომელიც საშუალებას მისცემს მას თავისუფლად გამოიყენოს მიღებული ცოდნა კომუნიკაციის დროს და პროფესიული საქმიანობისას; ჩამოყალიბებული აქვს აკადემიური წერის უნარ-ჩვევები; შეუძლია ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა; შეუძლია დაამყაროს კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ისე ერთ-ერთ სლავურ ენაზე (რუსული, უკრაინული).

გარდა ამისა, კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტექსტების დამუშავებისა და სხვა სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად და შემოქმედებითად გამოყენების უნარი; მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების უნარი; ინტერნეტის სისტემაში ინფორმაციის მოძიების მეთოდების გამოყენება; ფილოლოგიური ინფორმაციის დამუშავების სტატისტიკური მეთოდების ცოდნა. ეფექტურად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ენის შესწავლისთვის აუდიო-ვიდეო მასალას).

შეიძინა **მეორე უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული)** დონის ენოვრივი კონპეტენციები, რის შედეგად მას ესმის ცალკეული წინადადებები და ხშირად გამოყენებული გამოთქმები ცხოვრების ძირითადი სფეროდან (ოჯახი, სამსახური და სხვ.) შეუძლია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რაც უკავშირდება მარტივი ინფორმაციის გაცვლას (ყოფით ან ნაცნობ თემებზე), შეუძლია ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი ასპექტების აღწერა.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულმა გამოიმუშავა საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარი სლავური ფილოლოგიის დარგში არსებული რესურსებისა და მასალების გამოყენებით; განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის უნარი; სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება; შეგნებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების, აუცილებლობა, მათ შორის პედაგოგიური განათლების მიღების კუთხით იმ შემთხვევაში, როცა ბაკალავრი ძირითადი სპეციალობის პარალელურად აირჩევს პროგრამით გათვალისწინებულ მასწავლებლის მომზადების ერთწლიან პროგრამას. საშუალება აქვს ეტაპობრივად განავითაროს პრაქტიკულ-პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელი პირობაა სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის მაგისტრატურაში, რომელიც ორიენტირებულია ზოგადად ფილოლოგიის და კერძოდ სლავური ენის სფეროში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს მასალის შეგროვების, შესაბამისი წყაროების დიფერენცირებისა და შეფასების უნარები; შეუძლია ბიბლიოგრაფიულ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა, მათი შეგროვება და შემდგომში მოძიებული მასალის გამოყენება.

ღირებულებები - თანამედროვე აქტუალური ეროვნული, ჰუმანიტარული და სოციალური ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების დამკვიდრების პროცესში. ბაკალავრს აქვს: სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. სლავური (რუსული, უკრაინული) ერების ისტორიის, კულტურის შეცნობის გზით ჰუმანური ღირებულებების გათავისება, სლავური ენებისა და ლიტერატურის (რუსული, უკრაინული) განვითარების წყაროების შეცნობით გათავისებული აქვს თანამედროვე მეთოდები და ღირებულებები; აცნობიერებს სლავური ენებისა და ლიტერატურის (რუსული, უკრაინული) ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მიისწრაფვის ღირებულებათა დასამკვიდრებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეუძლია ენის როლის შეფასება. ასევე სხვადასხვა ჯგუფური ღირებულებების განსაზღვრა; მოლაპარაკებების წარმართვა; ენის სისუფთავისკენ სწრაფვა. ენობრივი მეცნიერების უწყვეტი განვითარების ღირებულების გათავისება.

9. სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				სავონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	ინგლისური ენა - დამწყებთათვის <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)</i>													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6							წინაპირობა არ გააჩნია	
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6						ENGL B 001	
3.	ინგლისური ენა III(Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6					ENGL B 002	
ბ)	უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)</i>													
1.	უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6							წინაპირობის გარეშე	
2.	უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6						ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	
3.	უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	65	85			6					ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	

4.	დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (ფილოლოგია)	ENGL B 024 GERM B 024 FREN B 024 RUSS B 024	3	35	40				3				ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	აკადემიური წერა	ACAD B101	6	65	85	6							წინაპირობა არ გააჩნია
6.	ენათმეცნიერების შესავალი	PHIL B101	6	65	85	6							წინაპირობა არ გააჩნია
7.	საქართველოს ისტორია	HIST B101	6	65	85	6							წინაპირობა არ გააჩნია
8.	კლასიკური ენა /ლათინური/	LATB 101	3	35	40	3							წინაპირობა არ გააჩნია
9.	ფილოსოფიის შესავალი	PHSF B101	3	35	40	3							წინაპირობა არ გააჩნია
ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები -105 კრედიტი													
1.	ლიტერატურათმცოდნეობა	PHIL B108	3	35	40			3					წინაპირობის გარეშე
2.	ლიტერატურის თეორიის საფუძვლები	PHIL B109	3	35	40							3	ლიტერატურათმცოდნეობა
3.	ზოგადი ენათმეცნიერება	PHIL B105	3	35	40							3	ენათმეცნიერების შესავალი
4.	თარგმნის თეორია და პრაქტიკა	PHIL B106	3	35	40						3		წინაპირობის გარეშე
5.	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	SLAV B101	3	35	40			3					წინაპირობის გარეშე
6.	ქვეყანათმცოდნეობა (სლავური ქვეყნების ისტორია)	SLAV B115	3	35	40			3					წინაპირობის გარეშე
I.	სავალდებულო მოდული "რუსული ფილოლოგია" – 54 კრედიტი												
1.	რუსული ენის ისტორია	SLAV B102	6	65	85			6					შესავალი სლავურ ფილოლოგიაში
2.	თანამედროვე რუსული ენა I (ფონეტიკა, ორთოეპია, გრაფიკა და ორთოგრაფია)	SLAV B103	6	65	85			6					ენათმეცნიერების შესავალი
3.	თანამედროვე რუსული ენა II (ლექსიკოლოგია და სიტყვათწარმოება)	SLAV B104	6	65	85			6					თანამედროვე რუსული ენა I (ფონეტიკა, ორთოეპია, გრაფიკა და ორთოგრაფია)
4.	თანამედროვე რუსული ენა III (მორფოლოგია)	SLAV B105	6	65	85			6					თანამედროვე რუსული ენა II (ლექსიკოლოგია და სიტყვათწარმოება)
5.	თანამედროვე რუსული ენა IV (სინტაქსი და პუნქტუაცია)	SLAV B106	6	65	85					6			თანამედროვე რუსული ენა III (მორფოლოგია)
6.	ძველი და XVIII ს. რუსული ლიტერატურის ისტორია I	SLAV B107	6	65	85			6					ლიტერატურათმცოდნეობა
7.	XIX ს. პირველი ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია II	SLAV B108	6	65	85			6					ძველი და XVIII ს. რუსული ლიტერატურის ისტორია I

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - სლავური ფილოლოგია

- პროგრამის სახელწოდება - დამატებითი (Minor) პროგრამა სლავური ფილოლოგია
- სწავლების ენა - ქართული
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - წინაპირობის გარეშე
- პროგრამის მიზანი - სლავური ფილოლოგიის სწავლების აუცილებლობა განისაზღვრება სლავური ელემენტის მნიშვნელობით ევროპულ სივრცეში. სლავური კულტურა მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილია. რუსულ ენას დიდი ხანია საქართველოში აქვს უცხო ენის სტატუსი და მნიშვნელოვანია მისი სწავლების უახლესი მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება, რათა კურსდამთავრებულებმა შეძლონ კომუნიკაცია, კითხვა და წერა რუსულ ენაზე.
"სლავური ფილოლოგიის" დამატებითი (Minor) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება თანამედროვე რუსული ენისა და ლიტერატურის საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას ფილოლოგიის სფეროში. მთლიანობაში დამატებითი პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებას.

სლავური ფილოლოგიის" დამატებითი (Minor) პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- საბაზისო საუნივერსიტეტო განათლების უზრუნველყოფა, სლავური ფილოლოგიის თეორიული საფუძვლების სწავლება და მინიმალური კომპენტენციების მქონე პირის მომზადება.
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საბაზისო სავალდებულო ფილოლოგიის საკითხების სწავლება;

- შეასწავლოს სტუდენტებს, ერთის მხრივ, თანამედროვე რუსული ენის ყველა განხრა-ფონეტიკა, ფონოლოგია, ორთოგრაფია, ორთოეპია, ლექსიკოლოგია, ფრაზეოლოგია, სიტყვაწარმოება, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია, და, მეორე მხრივ, რუსული ლიტერატურის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.
- სტუდენტისათვის დასაქმების ბაზარზე ადგილის დასაკვიდრებლად სწავლის აუცილებელი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მიცემა.

- **სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება - დაუფლებულია რუსულ ენას B1 დონეზე, იცის ისეთი საკითხები, როგორცაა: თანამედროვე რუსული ენის ფონეტიკა, ორთოგრაფია, ლექსიკოლოგია, სიტყვაწარმოება, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია, მოახდინა რუსული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების კრიტიკული გააზრება, იცის რუსული ლიტერატურული მიმდინარეობანი და ცნობილ ავტორთა შემოქმედება; დაეუფლა რუსული ენის წერით და ზეპირ ფორმებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს რუსული ენის ფლობის B1 დონე, რუსული ენის დონის ფლობის კუთხით სტუდენტს ესმის აბსტრაქტულ და კონკრეტულ თემებზე შედგენილი ტექსტების საერთო შინაარსი, მათ შორის სპეციალური ტექსტები. საუბრობს სხარტად და სპონტანურად. რუსულ ენაში შეძენილი აქვს პრაქტიკული კომპეტენციები ვერბალური კომუნიკაციის ოთხი ფორმით: *კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და მოსმენა-აუდირება. შეუძლია რუსული ლიტერატურული ნაწარმოებების კრიტიკული გარჩევა და ანალიზი.*

დასკვნის უნარი - სტუდენტს შეუძლია სლავური ფილოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, მათი განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა არასპეციალისტებთან, პრეზენტაციის მომზადება და მისი ზეპირი წარმოდგენა; აქვს რუსული ენის ფლობის B1 დონე. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს ენის შესწავლის კუთხით შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივი გამოყენება.

სწავლის უნარი - სტუდენტმა გამოიმუშავა საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარი სლავური ფილოლოგიის დარგში არსებული რესურსებისა და მასალების გამოყენებით; განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის უნარი; სტუდენტს საშუალება აქვს ეტაპობრივად განავითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კურსდამთავრებულს გამოიმუშავებული აქვს მასალის შეგროვების, შესაბამისი წყაროების დიფერენცირებისა და შეფასების უნარები; შეუძლია ბიბლიოგრაფიულ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა, მათი შეგროვება და შემდგომში მოძიებული მასალის გამოყენება.

ღირებულებები - თანამედროვე აქტუალური ეროვნული, ჰუმანიტარული და სოციალური ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების დამკვიდრების პროცესში. ბაკალავრს აქვს: პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება.

• დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათ. რაოდ.		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო სასწავლო კურსები - 48 კრედიტი														
1.	თანამედროვე რუსული ენა I (ფონეტიკა, ორთოეპია, გრაფიკა და ორთოგრაფია)	SLAV B103	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	თანამედროვე რუსული ენა II (ლექსიკოლოგია და სიტყვათწარმოება)	SLAV B104	6	65	85					6				SLAVB103
3.	თანამედროვე რუსული ენა III (მორფოლოგია)	SLAV B105	6	65	85						6			SLAVB104
4.	თანამედროვე რუსული ენა IV (სინტაქსი და პუნქტუაცია)	SLAV B106	6	65	85							6		SLAVB105
5.	ძველი და XVIII ს. რუსული ლიტერატურის ისტორია I	SLAV B107	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
6.	XIX ს. პირველი ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია II	SLAV B108	6	65	85					6				SLAV B107
7.	XIX ს. მეორე ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია III	SLAV B109	6	65	85						6			SLAV B108
8.	ახალი და უახლესი რუსული ლიტერატურის ისტორია IV	SLAV B110	6	65	85							6		SLAV B109
არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი														
<i>არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან</i>													12	
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	